N გ-24-03/1125
24/05/2024

1125-გ-24-03-2-202405241739

შპს „პროსერვ.ჯი“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2024 წლის 23 მაისის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა გადაიდო და გაიმართება 2024 წლის 30 მაისს, 15:00 საათზე, სადაც განიხილება შპს „პროსერვ.ჯი“-ს მიერ კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის საკითხი (საფუძველი: კომისიის აპარატის ადმინისტრაციის მოხსენებითი ბარათი (N 24-10-851, 01.05.2024) თანდართული დოკუმენტაციით).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, ავტორიზებულ პირს უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი